

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

***2424**

არჩევნები ქრახის
ქართისტანში

A5



იან ბილანის ცოლის
სრამება

A6



კონტადორი ორბზის
ტურელია

A8



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

სილა რუსეთს

აშშ-მ კრემლს ამბიციების უსაფუძვლობაზე მიუთითა

დიმიტრი ავალიანი

შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი, თბილისში ვიზიტის შემდეგ, კრემლს ლიად მიანიშნებს, რომ მისი ზესახელმწიფოებრივი ამბიციები უსაფუძვლოა და ის არ იმყოფება იმ მდგომარეობაში, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას თამაშის წესები უკარნახოს. ამან მოსკოვი ალაშფოთა და დააბნია. ამერიკელი მაღალჩინოსნები ასევე ლიად აცხადებენ, რომ საქართველოს სამხედრო დახმარებას გაუწყვენ. ამაზეც მოსკოვის რეაქცია არაადეკვატური და გაუაზრებელია - რუსული დიპლომატია ვაშინგტონს სანქციებით ემუქარება.

რუსეთის ეკონომიკა სუსტდება და ეს აიძულებს მას წავიდეს დათმობებზე, ბირთვული არსენალის შემცირებისა და პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის საკითხებში. ამის შესახებ აშშ-ს ვიცე-რეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა, საქართველოსა და უკრაინაში ვიზიტის შემდეგ გაზეთ უოლ სთრით ჯორნელისთვის მოცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



რუსეთში აშშ-ს ელჩი ჯონ ბაიერლი ჩვენ გვაქვს და გვეჩვენა სამხედრო თანამშრომლობა საქართველოსთან

არც ერთი სიტყვა ბაიდენზე

ნოდარ ლადარია

ამჯერად უარი ვთქვათ ლიტერატურულ შესავალზე და პირდაპირ დავაკვირდეთ გასულ კვირას "24 საათში" გამოქვეყნებული ორი მასალის სათაურებს:

20 ივლისი: "ოპოზიცია თემებს უფრთხილდება (დებატების მოლოდინში)".

22 ივლისი: "ოპოზიცია საპარლამენტო დებატებს პიარ-კამპანიას უწოდებს".

ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ამ ორ წინადადებაში ერთი და იგივე სუბიექტი იგულისხმება. სულაც არა: პირველი მასალა მოგვითხრობს საპარლამენტო დებატების მონაწილეთა წინასწარ განწყობაზე, მეორე კი გვამცნობს იმათ განწყობას, ვინც დებატების დროს პარლამენტის შენობაში არ იმყოფებოდა...

აქ კი გაჭირდა საქმე: როგორ შევფასოთ ის გარემოება, რომ პოლიტიკური ცხოვრების ეს ორი ერთმანეთისაგან საგრძობლად განსხვავებული მონაწილე ერთი და იმავე ტერმინითაა აღნიშნული? არა, აქ მასალების ავტორებს უბ-

რალოდ დაუდევრობისთვის არ ვსაყვედურობ: შესაბამისი ზედსართავეებიც რომ დაემატებინათ ("საპარლამენტო" და "არასაპარლამენტო"), ეს საქმეს მხოლოდ გარეგნულად თუ წაადგებოდა.

რატომ? საქმე ისაა, რომ ამ ორ მასალას შორის არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობს. ორივე გან ერთნაირი სისრულით, ერთნაირი სტილითა და ერთნაირი მიდგომით არის გაშუქებული სათაურებში აღნიშნული საკითხები. არც ახლა ვსაყვედურობ მასალის ავტორებს გარჩევის ნაკლებობაში: გარემოებათა მიზეზით მხოლოდ ჟურნალისტები როდი აქცევენ გამომეტყველ ყურადღებას სკანდალისტების ჯგუფს, რომელთა თვალსაზრისების გამოქვეყნებას არავითარი აზრი არა აქვს იმის გამოც, რომ წინასწარ ცხადია, რაზე რას იტყვიან.

აი, პარლამენტში გამართულ დებატებზეც თქვეს, პიარ-კამპანიააო. არც შემცდარან...

სხვა რა უნდა იყოს იმ ტიპის დებატები, რომლებიც საქართველოს პარლამენტში 20-21 ივლისის ღამეს გაიმართა? რა თქმა

უნდა პიარია, ანუ Public Relation საჯარო კავშირი, ურთიერთობა, გადმოცემა. ეს არათუ უწყინარი, არამედ სასარგებლო და აუცილებელი რამ ჩვენში ისეთივე ბუად აქციეს, როგორც შევარდნაძის დროს ქვეული იყო სიტყვა "გრანტი", ასეთივე სასარგებლო და აუცილებელი.

მაგრამ ახლა ისტორიული ექსკურსების დრო არ არის. ნელ-ნელა გამოიკვეთა დღევანდელი სალაპარაკო: კონკრეტულად რა გავლენას ახდენს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ვითარება, როცა არსებობს პოლიტიკური სუბიექტების ორი სიმრავლე, რომელთაგან თითოეული "ოპოზიცია" იწოდება. საქმე, რა თქმა უნდა, არ ეხება იმას, გაერთიანებულია პოლიტიკური ოპოზიცია, თუ დანაწევრებული: მთელ მსოფლიოში ვხედავთ ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი და ხშირად ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებისაგან შემდგარ სიმრავლევებს, რომლებიც შესაბამისი ქვეყნების მედიებში "ოპოზიციად" მოიხსენიება. ამგვარი დანაწევრება სრულიად ნორმალურია,

ბევრად უფრო ნორმალური, ვიდრე, მაგალითად, "რესპუბლიკელებისა" და "ახლების" coitus preter naturalis (არაბუნებრივი შერწყმა).

მაგრამ ქართული დანაწევრება თუ გახლენა სულ სხვა ბუნებისაა. მაინც როგორ უნდა ავსნათ ეს ბუნება?

ერთი მხრივ, არც არაფერია ასახსნელი: მართლაც, არასაპარლამენტო ოპოზიციას შემოაქვს პოლიტიკური ბრძოლის ის ხერხები, რომლებიც, ერთი მხრივ, შეუთავსებელია სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებასთან, მეორე მხრივ, აბსოლუტურად უპერსპექტივოა მოცემულ ისტორიულ მომენტში. და მაინც, საერთაშორისო თანამეგობრობა, ქართული და უცხოური მედია, საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი გაუმართლებლად დიდ ყურადღებას უთმობენ ამ ფენომენს, რომლის ადგილი ერთგვარ პოლიტიკურ კუნსტკამერაში უფროა, ვიდრე სახელმწიფოს ყოველდღიურობაში.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

სასამართლო გადაწყვეტილება ბიზნესმენის სასარგებლოდ

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნანილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელე შპს "კასარა"-ს სასარჩელო განცხადება. "კასარა" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 1 აგვისტოს ბრძანების ბათილად ცნობას ითხოვდა, რომლითაც გაუუქმდა ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში ნიაღისეულთით სარგებლობის ლიცენზია.

საქმის სასამართლო განხილვისას დადგინდა, რომ 2005 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს "კასარაზე" გაცემა ლიცენზია - ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში არსებულ მინერალური წყლების საბადოზე. აღნიშნული ლიცენზიის გაუქმების საფუძველზე გახდა სრულყოფილად გადაუმონწმელებელი ცნობები, თითქმის შპს "კასარა"-ს საქმიანობა ზიანს აყენებდა გარემოს. სასამართლო განხილვისას დადგინდა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2009 წლის 20 მაისის ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნით, შპს "კასარა"-ს ფუნქციონირების პერიოდში გარემოსთვის ზიანი არ მიუყენებია და დადგენილი პირობებით მუშაობის შემთხვევაში არც მომავალშია მოსალოდნელი რაიმე საფრთხის საშიშროება.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სადავო ბრძანება შპს "კასარა"-სთვის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება შპს "კასარა"-სთვის ლიცენზიის გაუქმება-არ გაუქმების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით კი, არ დაკმაყოფილდა არარეგისტრირებული კავშირის "საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საორგანიზაციო კომიტეტი"-ს, სარჩელი. მოსარჩელე საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 ივლისის N140 დადგენილების ბათილად ცნობას ითხოვდა, რომლითაც მოხდა სსიპ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რეორგანიზაცია და მისი მიერთება სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

მოსარჩელები არგუმენტები იყო ის, რომ საქართველოს მთავრობამ, რეორგანიზაციის საკითხის დღის წესრიგში წინასწარ შეუტანლად და სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს წარდგინების გარეშე გამოიტანა სადავო დადგენილება.

სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგში საკითხის წინასწარ შეუტანლად განხილვა არ წარმოადგენს ამ სხდომაზე გამოტანილი გადაწყვეტილების უკანონოდ მიჩნევის საფუძველს, რადგანაც, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განახორციელოს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის" სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს წარდგინებით.

მოცემულ შემთხვევაში, სსიპ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მისი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი წარდგინებით, - აცხადებენ საქალაქო სასამართლოში.

გიორგი სანაიას მკვლელობიდან 8 წელი გავიდა

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2-ის" ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობიდან 8 წელი გავიდა. იგი 2001 წლის 26 ივლისს საკუთარ საცხოვრებელ სახლში მოკლული იპოვეს.

ჟურნალისტის მკვლელობას საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, პოპულარული ტელენამეყვანის მკვლელობას მრავალთაყვანილი საპროტესტო აქციები მოჰყვა. საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მომხდარ მკვლელობას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. თუმცა, გამოძიებამ მკვლელობის ოფიციალურ ვერსიად პირადი მოტივები დასაბუხა.

საქმის გამოძიება კარგა ხანს

მიმდინარეობდა და, საბოლოოდ, სასამართლომ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო შსს-ს ყოფილი თანამშრომელი, 32 წლის გრიგოლ ხურცილავა და მას 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

2004 წლის დეკემბერში საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა გიორგი სანაიას მეუღლის ხათუნა ჩხაიძის მოთხოვნა, რომელიც ქმრის მკვლელობის საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვდა, რადგან მიაჩნდა, რომ გამოძიება პროცესუალური ნორმების დარღვევით ჩატარდა. გარდა ამისა, უზენაესმა სასამართლომ ლიად დატოვა შეკითხვა - რატომ მოკლა ცნობილი ჟურნალისტი გრიგოლ ხურცილავამ. ანუ სა-

სამართლო, მართალია, დაეთანხმა პროკურატურის ბრალდებას, რომ გიორგი სანაია გრიგოლ ხურცილავამ მოკლა, მაგრამ მკვლელობის მოტივი ლიად დატოვა.

სასამართლო ასევე არ დააკმაყოფილა გრიგოლ ხურცილავას ადვოკატის დავით დადიანის მოთხოვნა, მსჯავრდებულისთვის განაჩენის შემსუბუქების თაობაზე. საქმე ისაა, რომ, დავით დადიანის მტკიცებით, გრიგოლ ხურცილავამ დანაშაული აფეთქის მდგომარეობაში ჩაიდინა.

გიორგი სანაიას ნეკრები დღემდე დარწმუნებული არიან, რომ რეალური მკვლეელი და მკვლელობის დამკვეთი დაუსჯელია.

გიორგი სანაიას ძმა, ტელეკომპანია "იმედის" ჟურნალისტი ვახო სანაია აცხადებს, რომ მისი ძმის მკვლელობის საქმე დღემდე გაუხსნელია.

"დღეს, ისევე, როგორც რვა წლის წინ, გიორგის ოჯახის ნევრები და ახლობლები დარწმუნებული ვართ, რომ ჩემი ძმის მკვლელობა პოლიტიკური მოტივით მოხდა და ეს საქმე დღემდე გაუხსნელია," - აცხადებს ვახო სანაია.

გიორგი სანაიას გვარი საფრანგეთის ქალაქ ბეიეში პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ჟურნალისტების მემორიალზეა ამოტვიფრული.

საკუთარი ინფორმაცია

მიმართვა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას და პასუხი ბაერო-ს ექსპერტს

გაეროს-სპეციალური მომხილველი მანფრედ ნოვაკი ცენტრ მემორიალის ჩქნების განყოფილების თანამშრომლის მკვლელობის საქმის დამოუკიდებელ გამოძიებას მოითხოვს. მანფრედ ნოვაკმა რუსეთის ხელისუფლებას ამ მოთხოვნით ოფიციალურად მიმართა.

გაერო-ს ექსპერტი რუსეთის ხელისუფლებას და სამართალდამცველებს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ისინი უუნარიანი არიან, გახსნან და ბოლომდე მიიყვანონ ისეთი მნიშვნელოვანი საქმის გამოძიება, როგორც ნატალია ესტემიროვა ბურუსით მოკლული მკვლელობა.

ნატალია ესტემიროვა 15 ივლისს, დღით, უცნობმა პირებმა გროზნოს ცენტრიდან გაიტაცეს.

იმავე საღამოს, გატაცებულის ცხედარი ინგუშეთში, ნაზრანის რაიონში აღმოაჩინეს. მომხდარს იმავე დღესვე მოჰყვა გამოხმაურება. რუსეთის ხელისუფლებას თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ საქმის სასწრაფოდ და ობიექტურად გამოძიების რეკომენდაცია მისცა. ადამიანის უფლებათა დამცველის მკვლელობის ფაქტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიც გამოეხმაურა და მკვლელების სასწრაფოდ დაკავება-დასჯა მოითხოვა.

ეს არ რის პირველი შემთხვევაა, როდესაც ცნობილ ადამიანის უფლებათა დამცველს კლავენ. რუსეთში ასეთი შემთხვევები ხშირია და, სამწუხაროდ, ასეთი მკვლელობები გამოუძიებელი რჩება - ასე გაგრძელდება აღარ შეიძლება, - აცხადებს მანფრედ ნოვაკი.

გაერო-ს ექსპერტის განმარტებით, მისი ორგანიზაციის ნევრები აპირებენ, რუსეთსა და კავკასიაში აქტიურად იმუშაონ, დეტალურად გამოიძიონ და გამოიკვლიონ ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტები. საუბარია ადამიანების გაუჩინარებაზე, გატაცებაზე, მკვლელობებზე.

ნოვაია ვაზეტას ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობიდან ცოტა ხანში, პირადად მე, რუსეთის ხელისუფლებამ მიმინვია. თუმცა, ეს მიწვევა გაურკვეველი მიზეზების გამო, თავად რუსეთის ხელისუფლებამვე გააუქმა. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ ასეთი ვიზიტის დროს ჩვენ სრულფასოვნად ვმუშაობთ. გარდა იმისა, რომ ვიკლევთ კონკრეტულ ფაქტებს, ვამონებთ წინას-

წარი დაკავების ადგილებსაც და კონფიდენციალურ საუბრებს ვმართავთ დაკავებულებთან, - აცხადებს მანფრედ ნოვაკი.

გაერო-ს ექსპერტს უკვე უბასუხა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და არ იძლევა საშუალებას, რომ გაეროს ეგიდით, ექსპერტებს გამოიძიონ ასეთი დანაშაულები. ნატალია ესტემიროვას საქმე გამოძიებული იქნება რუსული კანონმდებლობის დაცვით და ექვი არავის შეეპაროს, რომ ცნობილი უფლებადამცველის მკვლელობის ფაქტს ჩვენი სახელმწიფო მალაქვალისფერად და ყურადღებით გამოიძიებს, - განაცხადა სერგეი ლავროვმა.

სწავლების ახალი მეთოდები სამედიცინო უნივერსიტეტში

სალომე ძაძაძია

სამედიცინო უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა ზურაბ ვადაჭკორიამ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, კლინიკების ხელმძღვანელებთან და სამედიცინო საზოგადოების წევრებთან პირველი ფართო შეხვედრა გამართა, სადაც სამომავლო გეგმებსა და სწავლების ახალ მეთოდებზე ისაუბრა.

კერძო კლინიკების ხელმძღვანელებმა რექტორს სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისთვის კლინიკური ბაზები შესთავაზეს. უნივერსიტეტს საკუთარი კლინიკური ბაზებით თანამშრომლობას სთავაზობენ: ქირურგიის ეროვნული ცენტრი, თბილისის ბარნულოგიური უროლოგი, ლევან სამხარაულის სახელობის საქართველოს ეროვნული ექსპერტის ბიურო, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტი, სა-

ხალხო პოსპიტალი და ა.შ.

სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ვადაჭკორია: შეხვედრა გვაქვს სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, რომელთაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონკურსო ვადა ეწერებათ. ისინი სამი წლით იყვნენ არჩეულნი. უკვე გამოცხადებულია ახალი კონკურსი. დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი კონკურსს წარმატებით გაართმევს თავს, თუმცა ახალი თანამშრომლებიც გვეყოლება. ახალი სასწავლო წელი 5 სექტემბერს დაიწყება. გვინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ისტორიას ჩაბარდეს უპაციენტო სწავლების პრაქტიკა კლინიკებში. ექიმი უნდა აღიზარდოს ავადმყოფის სანოლთან, საოპერაციოში, სამშობიარო ბლოკში და ა.შ. შეხვედრაზე სამედიცინო საზოგადოების ფართო წრეა წარმოდგენილი, რომელთა უმრავლესობა წარმატებული ექიმები, კერძო და სახელმწიფო კლი-

ნიკების ხელმძღვანელები არიან. ჩვენ მივმართავთ ყველა სამედიცინო კლინიკას და ფარმაცევტულ კომპანიას, დახმარება აღმოუჩინონ სამედიცინო უნივერსიტეტს. ახლა მათი თანადგომა ძალიან გვჭირდება.

ზურაბ ვადაჭკორიას ინიციატივით გამართულ შეხვედრას ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ სამედიცინო სფეროს რეფორმირება სწორედ უნივერსიტეტიდან უნდა დაიწყოს.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ თოდუა: ახალმა რექტორმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ყველა სამეცნიერო ინსტიტუტი სამედიცინო უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი იყო. ახალი რექტორის ინიციატივით, სამედიცინო უნივერსიტეტში ყველა სამედიცინო დაწესებულების ინტეგრაცია უნდა მოხდეს. მიხარია, რომ ასეთი ინიციატივა უკვე არსებობს. საქართველო პატარა

ქვეყანაა და არ შეიძლება, რომ ბევრი ასეთი დაწესებულება ჰქონდეს. უნდა არსებობდეს ერთი ძლიერი სამედიცინო უნივერსიტეტი, სადაც ინტეგრირებული იქნება ყველა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და მეცნიერებათა აკადემია.

უნივერსიტეტს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს და სამედიცინო საზოგადოებასა და პროფესორ-მასწავლებლებთან ასეთი შეხვედრების გაშრობა ხელს შეუწყობს რექტორის და რექტორატის ხედვის უკეთ ჩამოყალიბებას - თუ რა პრობლემებიცაა, რა პრიორიტეტების წამოწევა უნდა მოხდეს. ბევრი გეგმა არსებობს და სწავლების სრულყოფისთვის სიახლეებიც იქნება. შეხვედრას ფართო პოლიტიკური წარმომადგენლობა ესწრება და ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ დარგის მიმართ სახელმწიფოს ინტერესი დიდია, - აღნიშნა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გივი ნერეთელმა.



ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შიდსის ცენტრის ექიმი

მარიამ დჯაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

არც ერთი სიტყვა ბაიდენზე

პირველი გვარდიანს

რაო, დაგვიანებულია ამაზე ლაპარაკი? — მართლაც, აკი რუსთაველის პროსპექტიც გაიხსნა... სულაც არა, არ არის დაგვიანებული. და, აი, რატომ...

ჯერ ერთი, იმ მრავალთავა პოლიტიკურ მუტანტს, რომელსაც ხან რადიკალური, ხან ქუჩის ოპოზიციის სახელით იცნობენ ჩვენში, არსებობისა და ცხოველქმედების მრავალი ასპექტი ჰქონდა. მაგალითად, მრავალი ერთმანეთთან დაუკავშირებელი მიზეზი შეიძლება დაეხსნათ, რის გამოც უცხოური მედია ხსენებულ ყურადღებას იმეტებდა რკინის კონსტრუქციებით ჩახერგილი ქუჩის მიმართ. მაგალითად, ნებისმიერი მეტნაკლებად კომპეტენტური პოლიტოლოგი ან სულაც საღად მოაზროვნე ადამიანი სხაპასხუბით დახასიათებს შექმნილი მდგომარეობის ანომალურობას.

მაგრამ ჩვენ ერთი თითქმის შეუმჩნეველი მომენტი გამოვყოთ.

მაშ ასე, გიორგი თარგამაძეს 20 ივლისს, პარლამენტის დარბაზში მიულოცეს ასლან აბაშიძის დაბადების დღე. შეიძლება ითქვას, გაუსხენეს მისი დევილუცია თუ ინვოლუცია ბაბუინიდან ბადრიჯანამდე. მერე და რისთვის?

გიორგი თარგამაძემ თქვა ორი რამ... არა, ბევრი რამ თქვა, მაგრამ ეს ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის:


1. მან თქვა, რომ რესპუბლიკური საავადმყოფო მხოლოდ ფასადია, შიგნით კი საშინელება სუფევს.

2. მან უსაყვედურა მიხეილ სააკაშვილს სიტყვა "გალიის" გამოყენება, რადგან ეს თურმე შეურაცხყოფს საპროტესტოდ დამუხტულ ქართველ ერს.

შედასტურებისათვის აღვნიშნავ, რომ ეს არ არის ციტატები. ეს მხოლოდ ნათქვამის აღწერაა.

მერე და რა? — ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები და თვით პრეზიდენტიც მაშინვე ეძგერნენ მეორეს და წაუყრუეს პირველს. ძალიან ადვილი იყო და ასეც მოხდა. ჩვენც მეორე გამოინათქვამს დავეძგეროთ და აქედან დავინყოთ მომხდარის განხილვა.

გიორგი თარგამაძე თვითონ არასოდეს ჩამჯდარა გალიაში თუ საკანში. მისი გამოჩენა ქუჩის ოპოზიციის ფონზე, თუ იყო, უკვე კარგა ხანია ნაშთალა საერთო მესხიერებიდან. ერთი ნაშთალი, გიორგი თარგამაძე და მისი პარტია არანაირად არ ასოცირდებიან იმ ჯგუფთან, რომლის დამცველადაც მოგვეცა იგი პარლამენტში. მაშ, რატომ ითქვა ის, რაც ითქვა? — იმიტომ, რომ შესრულებულიყო ის ლამის რიტუალური მოთხოვნები, რომელიც შემოიტანა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე ნახსენებმა ანომალი-



ამ: ა) მიტინგი "ქართველი ერის" საკრალური სიმბოლოა და მის მიმართ მოქმედებს სიტყვიერ და მოქმედებით ტაბუთარული სისტემა; ბ) "ქართველი ერის" ნების ყველაზე ადეკვატური გამოხატვა სააკაშვილის კბენაა.

კრიტიკის ასეთი პრიმიტიული მეთოდი დაამკვიდრა ქუჩის მრავალთავა მუტანტმა. ამ შემთხვევაში, თარგამაძის სულმოკლეობა არ არის მთავარი — ვერ გაუძლო ცდუნებას, ხდება ხოლმე. მთავარი ისაა, რომ ამ კრიტიკაზე პასუხი ძალიან ადვილია, ჰოდა, როგორც იტყვიან, პასუხმაც არ დააყოვნა.

აი, პირველ შემთხვევაში კი ცამდე მართალი იყო ბ-ნი თარგამაძე. უბრალოდ, ვერ ახტა სათანადო სიმაღლეზე. მეც ვიცი რამდენიმე "უტყუარი" ამბავი: ქალზე, რომელიც გარდაიცვალა, რადგან რესპუბლიკურ საავადმყოფოში არ აღმოაჩნდათ სასუნთქი აპარატი, ექიმებზე, რომლებიც არსებითად არ განსხვავდებიან "შუაქალაქელი" ირაკლი ჩხეიძისაგან, ბინძურ დერეფნებსა და ანტიკვარულ ლიტებზე... ეს ყველაფერი ალბათ მართალია. უბრალოდ, სხვანაირად ჩამოყალიბება, ემპირიული ცნობებითა და დეტალური ანალიზით გამდიდრება

სჭირდება, რათა ქმედით იარაღად იქცეს დეპუტატის ხელში.

მაგრამ არა, არ ხდება ეს: პოლიტიკური ბრძოლა ლამის იმით ამოიწურება, რომ გამოხატვა რომელიმე უდღეური ჯონდი და კომუნალური გადასახადების გაყინვას მოუწოდებს. როგორც ადრე, შევარდნაძის დროს, ალბათ, არც ახლა აკითხავს ვინმე პარლამენტის საინფორმაციო სამსახურს, არც ახლა ითხოვს ზუსტ მონაცემებს, არც ახლა ცდილობს საქმის ვითარებაში კვალიფიციურ გარკვევას. რა საჭიროა, როცა "ქართველ ერს" შეძახილების უფრო სჯერა? — ამიტომაც მართალი ამბები არ იქცევა ინფორმაციად. ამიტომაც ჩავსვი ბრტყალებში სიტყვა "უტყუარი", რადგან ყველაფერს, მათ შორის ადამიანურ ტრაგედიასაც სათანადო გაფორმება სჭირდება, ყველგანდღურ ბრძოლაში ღირებულ არგუმენტად რომ იქცეს.

ამის მაგიერ კი უიმედოდ დეგრადირდება პოლიტიკური კრიტიკა, რომელიც, მართალია, არც არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაგრამ არც გაჩენისა და განვითარების შანსები გაზრდია ბოლო წლების განმავლობაში. ამის ბრალია, რომ თვით პრეზიდენტიც გამოსვლებიც კი ხშირ შემთხვევაში ზედმიწევნით სწორად დასმული აქცენტებისა და საკვირველად გულუბრყვილო დისკურსის უცნაურ ნაზავს წარმოადგენს. შინგაზრდილი ინტელექტუალები და ექსპერტებიც სწორედ ამიტომ ექცევიან მას ზუსტად ისე, როგორც საპარლამენტო უმრავლესობა — გიორგი თარგამაძეს: პოლიტიკურ აქცენტებს არად დაეიდევნენ, სამაგიეროდ ფორმასა და შინაარსს სწუნობენ, აქაოდა, სად ზის და რა სისულელეებს ამბობსო.

ეს არის ქუჩური პოლიტიკის ყველაზე ძვირი ფასი: ერთი მხრივ, კრიტიკის, მეორე მხრივ კი, საჯარო ურთიერთობების გადაგვარება. ჰოდა, გამოდის, რომ დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების ორი აუცილებელი მხარე ერთმანეთის მიმართ კონკურენტულ დამოკიდებულებაში კი არ არის, არამედ ერთი მეორეს ადვილ ცხოვრებას უქმნის და შედეგად ერთი მეორეს რყენის.

თანაც ამ გარყვინს მიზეზი სულაც არ არის ახალი "დექტატურა" ან "ავტორიტარიზმი", არამედ ძველი, გარდასული ხანის გადმონაშთი — რწმენა, რომ სულელების მართვა ადვილია, რომ სულელები ხელს არ გეშლიან, რომ სულელებს ყოველთვის მოელაპარაკები. ამიტომ იქცა საქართველოში სულელი ყველაზე ძვირფასი ჯიშის ცხოველად — მას ბანენ და აჭმევენ, თვალის ჩინივით უფრთხილდებიან, ცივ ნიავს არ აკარებენ. რა თქმა უნდა, ყველას ერთნაირად არ შეუძლია სულელის მოვლა და განებივრება, თითოეული საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში უფრთხილდება მას — ვინ საკანში სვამს, ვინ ავარაკს ჩუქნის ან მთელ ტელევიზიას აბარებს. მთავარია სულელმა საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნება არ დაკარგოს, თორემ ძვირფას ჯიშს ზიანი მიადგება.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად კი იძულებული ვართ ვაღიაროთ: საქართველოში ყველაზე წარმატებული მედია-პროექტი პატარაკაციშვილის "იმედი" იყო. ის არ მომკვდარა და მანამდე იცოცხლებს, სანამ ამ ქვეყნის პრეზიდენტი იგრძნობს აუცილებლობას აგვისხნას, რას ნიშნავს "რუსეთზე" და რა რეალური ფასი აქვს დღეს "ერთმორწმუნეობას".

სილა რუსეთს

პირველი გვარდიანს

რუსებს უმცირდებათ მოსახლეობა, ცეცმა მათი ეკონომიკა, საბანკო სექტორი და ინფრასტრუქტურა 15 წელსაც ვერ გაუძლებს, - განმარტა ბაიდენმა.

რუსეთს მოუწევს, ძალიან რთული გადაწყვეტილებები მიიღოს. მსოფლიო ოცნება, ისინი კი სიცოცხლისუნარი წარსული ებლაუჭებიან, - განაცხადა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა.

ამავე დროს მან აღნიშნა, რომ უახლოეს მოავალში შესაძლოა მოსკოვი უფრო აგრესიული გახდეს და ამიტომაც ვაშინგტონმა რუსეთთან ურთიერთობაში აკურატული მიდგომა უნდა აირჩიოს. მან ამასთან დაკავშირებით მამამისის სიტყვების მოიშველია: არასდროს მიაშწყვედები ადამიანი კუთხეში ისე, რომ გზა აღარ დაუტოვო.

ბაიდენის განცხადებებს მკვეთრი რეაქცია მოსკოვი მოჰყვა. კრემლში სხვა ვერაფერი მოიფიქრეს, გარდა იმისა, რომ ბაიდენისთვის ობამას პოლიტიკისგან გადახვევა დაებრალებინათ. ვიცე-პრეზიდენტის კრიტიკული განცხადებები რუსეთის მისამართით ეწინააღმდეგენა აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას პოზიციას, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის თანამემხმე სერგეი პრიხოდეკომ. "ჩნდება კითხვა: ვინ განსაზღვარავს აშშ-ს საგარეო პოლიტიკას - პრეზიდენტი თუ თუნდაც მისი გუნდის პატივსაცემი წევრები", - განაცხადა პრიხოდეკომ. კრემლში მიიჩნევენ, რომ ბაიდენ-

ნი რუსეთის ეკონომიკის შეფასებისას არასწორ აქცენტებს აკეთებს. "კრიზისი უკავშირდება "თავად აშშ-ის ეკონომიკური ინსტიტუტების არაგონიერ და რიგ შემთხვევაში ავანტიურისტთან მიახლოებულ ქმედებებს", - განაცხადა პრიხოდეკომ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, თავის მხრივ, გამოეხმაურა ჯოზეფ ბაიდენის თბილისში გაკეთებულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ აშშ არასოდეს აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. არასოდეს თქვა არასოდეს", - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და დასძინა, რომ აშშ-ს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონების აღიარება ადრე თუ გვიან მაინც მოუწევს. "რეალობა არის რეალობა და იგი ვერსად წავა. ამაზე ადრევე უნდა ფიქრათ. ვაშინგტონს ავანტიურების ნახალისებების ნაცვლად, გავლენა უნდა გამოახვედრებოდეს და ნორმალური ქართული სახელმწიფო შეექმნა", - აღნიშნა ლავროვმა.

რუსეთისთვის ძალზე აქტუალური და მტკივნეული აშშ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის თემა გახდა. დასავლურმა მედიამ ჯოზეფ ბაიდენის თბილისში ვიზიტი საქართველოსთვის აღიარება და დასძინა, რომ აშშ-ს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონების აღიარება ადრე თუ გვიან მაინც მოუწევს. "რეალობა არის რეალობა და იგი ვერსად წავა. ამაზე ადრევე უნდა ფიქრათ. ვაშინგტონს ავანტიურების ნახალისებების ნაცვლად, გავლენა უნდა გამოახვედრებოდეს და ნორმალური ქართული სახელმწიფო შეექმნა", - აღნიშნა ლავროვმა.

როგორც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ფილიპ კროულემ ბაიდენის ვიზიტის დასრულების შემდეგ განაცხადა, შეერთებული შტატები არ გამოირცხავს საქართვე-

ლოსთვის შეიარაღებულ მოწოდებას.

მისი თქმით, ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც ნატო-ში გაწევრიანების სურვილი აქვს, ალიანსის სტანდარტების შესაბამისი შეიარაღება უნდა გააჩნდეს. კროულემ აღნიშნა, რომ აშშ აპირებს საქართველოსთან მუშაობის გაგრძელებას თავდაცვითი შეიარაღების მიწოდების საკითხში.

კროულემ ასევე აღნიშნა, რომ აშშ არ აპირებს რუსეთის გავლენის სფეროს აღიარებას საქართველოსთვის იარაღის მიწოდების საკითხში და საბოლოო გადაწყვეტილებებს უფლება ამ მხრივ საქართველოს ენიჭება.

როგორც, თავის მხრივ, რუსეთში აშშ-ს ელჩმა ჯონ ბაიერლიმ რადიო ეხო მისკვი -სათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, ჩვენ გვაქვს და გვქვნება სამხედრო თანამშრომლობა საქართველოსთან. თუმცა, მისი თქმით, ის არ მოიცავს მძიმე ტექნიკის მიწოდებას. თანამშრომლობა, ელჩის განმარტებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნას ითვალისწინებს ერთობლივი მისიებისთვის მომზადების მიზნით.

"რუსეთი აშშ-ს სანარმოების წინააღმდეგ სანქციებს დაანებს იმ შემთხვევაში თუ ისინი საქართველოსათვის იარაღის მიყიდვას დაიწყებენ", - ასეთი მუქარით აშშ-ს წინააღმდეგ ნატოში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი დმიტრი როგოზინი გამოვიდა. მის თქმით, რუსეთის პრეზიდენტმა შედავბამისი ბრძანებულება უკვე გამოცხადა.

ჯოზეფ ბაიდენის საქართველოსა და უკრაინაში ვიზიტს რუსეთის პრეზიდენ-

ტი დმიტრი მედევერევი გამოეხმაურა. როგორც მან სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის გადატვირთვა არ ნიშნავს, რომ მოსკოვმა ან ვაშინგტონმა საქართველოსთან ან უკრაინასთან ურთიერთობები უნდა შეცვალონ.

მედევერევი აღნიშნა, რომ რუსეთი აბსოლუტურად მშვიდად, ყოველგვარი ეჭვიანობის გარეშე უყურებს იმას, თუ როგორ ამუშავებს სხვა სახელმწიფოები პარტნიორულ ურთიერთობებს საერთაშორისო თანამეგობრობასთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თუმცა, რუსეთი საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას ვკვლავ კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

"ამა თუ იმ სახელმწიფოს ამა თუ იმ ბლოკსა და ალისში გაწევრიანება ჩვენთვის სულერი ნამდვილად არ არის ჩვენ მიგვაჩია, რომ არ შეიძლება ხალხის სამხედრო ბლოკში მისი ნების სანინააღმდეგოდ გაწევრიანება", - აცხადებს მედევერევი.

მედევერევის მოჩვენებითი სიმშვიდედ და კონსტრუქციულობა ვერ ფარავს იმ გაოგნებას და პანიკას, რომელიც რუსეთის ხელისუფლება აშშ ვიცე-პრეზიდენტის მოულოდნელად გულახდილმა ინტერვიუმ ჩააგდო. ჯოზეფ ბაიდენის საქართველოში ვიზიტმა და მისმა განაცხადებებმა ვიზიტის შემდეგ გაამართლა იმ ექსპერტების ვარაუდები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბარაკ ობამას მოსკოვში ვიზიტის შემდეგ აშშ-ს პოზიცია საქართველოს საკითხში კიდევ უფ-

რო მტკიცე გახდებოდა.

ივლისის დასაწყისში რუსეთთან ურთიერთობის ხელახლა ასანწყობად ჩამოსულ ბარაკ ობამასთან ვლადიმირ პუტინმა პოლიტიკური ვაჭრობის გამართვა სცადა. ტრადიციული რუსული სამოყარისა და ჩემპის თანხლებით, რუსეთის პრემიერმა აშშ-ს პრეზიდენტს პირადად აუხსნა, თუ რამდენად განსაკუთრებული ურთიერთობები აკავშირებს მის ქვეყანას საქართველოსთან, უკრაინასთან და სხვა პოსტსაბტოტო ქვეყნებთან. ამ საუბრის შინაარსს ასე რუსული წყაროები გადმოსცემდნენ. როგორც ჩანს, პუტინმა ჩათვალა, რომ საქმარისი იქნებოდა ამერიკის ახალი პრეზიდენტისთვის თვალეში ჩაეხედა და სიტუაცია პირადად აეხსნა, რომ კრემლი თეთრი სახლისგან პოსტსაბტოტო სივრცეზე სრული ბატონობის უფლებას ბოლოს და ბოლოს მიიღებდა.

ამავე რუსული წყაროების ინფორმაციით, ობამამ პუტინს მამინ თავაზიანად და ყურადღებით მოუსმინა, რამაც კრემლს გარკვეული იმედები გაუღვიძა. თუმცა, აშშ-ს ვიცე პრეზიდენტის ვიზიტმა კიევისა და თბილისში და, განსაკუთრებით, მისმა ბოლო ინტერვიუმ, რომლითაც მან რუსეთს მის შესაძლებლობების სიმწირე და ამბიციების უსაფუძვლობაზე მაინშნა, მოსკოვის იმედების არათუ გაამართლა, არამედ მისთვის სილის განხრის ეფექტი მოახდინა. რასაც რუსული დიპლომატიის დაბნეულობა და არადეკვატური განცხადებები მოჰყვა.

"გამოტანარი" ნანატარი

გახსნადი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის“ ფილიალებიდან - უფასო



ჯგუფი სოსნიტა ჯანაყალი

ტელ.: (822) 90 90 (90)
 მობილურიდან: *90 90
www.republic.ge

არჩევნები არაყის ქურთისტანში

ივანე ზვინაძე

ერაყის ჩრდილოეთში, ქურთების ავტონომიურ რეგიონში, შაბათს, 25 ივლისს, ადგილობრივი პარლამენტისა და ავტონომიის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. ის პირდაპირი წესით პირველად გაიმართა. ექსპერტები გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად მოქმედ პრეზიდენტ მასუდ ბარზანისა და ორი მთავარი პარტიის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიისა (ბარზანი ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია) და ქურთისტანის პატრიოტული კავშირის კოალიციას ასახელებენ. ადრე ეს ორი პარტია ერთმანეთთან დაპირისპირებული იყო, ბოლო არჩევნების შემდეგ კი ავტონომიურ რეგიონს ერთობლივად მართავენ. პრეზიდენტის პოსტზე, ბარზანი გარდა, კიდევ ოთხი კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება, არჩევნებში წარმატებისთვის 24 პარტია იბრძოდა.

ამ არჩევნებში პოლიტოლოგები მნიშვნელოვან წარმატებას უწინასწარმეტყველებენ ახალშექმნილ ოპოზიციურ ძალას, რეფორმატორულ მოძრაობა "ცვლილებებს", რომელმაც საარჩევნო კამპანიის დროს მომხრეთა სერიოზული რაოდენობის მობილიზება შეძლო. მისი ლიდერია ბიზნესმენი ნოშირვან მუსტაფა. იგი ქურთისტანის პატრიოტული კავშირის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილეა. საბოლოო



AFP - 2009

შედეგები, დაახლოებით, ერთ კვირაში უნდა გამოცხადდეს, ბოულეტენები ბალდადში დაითვლება. ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდები და ცალკეული ოლქების არაოფიციალური მონაცემები გადმოიცემა, რომლებსაც ძირითადად კონკურენტი პარტიები ავრცელებენ. ერაყის პრეზიდენტმა ჯალალ თალაბანიმ (ეროვნებით ისიც ქურთია, იგი ქურთისტანის პატრიოტული კავშირის ლიდერია) არჩევნების

დღეს ავტონომიური ქურთისტანისთვის დიადი დღე უწოდა.

ყოფილი პოლიტიკური ოპონენტების მმართველი კოალიცია იმედოვნებს, რომ მოიპოვებს ხმათა მაქსიმუმს - 100 მანდატს 111-ადგილიან პარლამენტში (ეს დანარჩენი 11 ადგილი წინასწარ განსაზღვრულია რეგიონის უმცირესობებისთვის და მათზე ეთნიკური ქურთების პარტიების კონკურენცია არ ვრცელდება). თუმცა

ასე არ ფიქრობენ ოპოზიციური მოძრაობა "ცვლილებების" წარმომადგენლები. ნოშირვან მუსტაფას პოლიტიკურმა ძალამ ბოლო დროს სერიოზული პოპულარობა მოიპოვა, განსაკუთრებით ქურთისტანის აღმოსავლეთში. ისინი მიიჩნევენ, რომ შეძლებენ მანდატთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მოპოვებას და ისლამისტურ და მემარცხენე პარტიებთან ერთად ძველ გავლენას და უმრავლესობას დააკარგვინებენ ყოფილ მმართველ კოალიციას. მოძრაობა "ცვლილებების" პოპულარობა განაპირობა მათმა მიზანმიმართულმა ბრძოლამ კორუფციისა და ელიტიზმის წინააღმდეგ.

მიმომხილველების უმრავლესობის აზრით, ძალთა ასეთი განლაგება ნაკლებ საგარაუდოა, ძნელია მოძრაობა "ცვლილებების" ასეთი ოპტიმიზმის წინააღმდეგ, თუმცა ისიც უდავოა, რომ ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიისა და ქურთისტანის პატრიოტული კავშირის კოალიციას ყველა მანდატი არ ერგება და პარლამენტში სერიოზული ოპოზიცია გაჩნდება.

არჩევნებზე ხმის უფლების მქონე მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მივიდა, მთლიანობაში - 78,5 პროცენტი. რეგიონში 2,5 მილიონზე მეტი ამომრჩეველია რეგისტრირებული. საარჩევნო კომისიის ცნობით, სულეიმანიში (მოსახლეობის რაოდენობით მეორე ქალაქი) ხმის მისაცემად 80 პროცენტზე მეტი ამომრჩეველი მივიდა. ზოგან გამოცხადების მაჩვენებელი უფრო მაღალიც იყო. ძალადობის ფაქტები არ დაფიქსირებულა, თუმცა დარღვევებს ჰქონდა ადგილი. მაგალითად, მოძრაობა

"ცვლილებების" ცნობით, მათი დამკვირვებლები არ შეუშვეს საარჩევნო უბნების ნაწილში ქურთისტანის დასავლეთში, პროვინცია დახუკში. იქ ხმის მიცემის პროცესი ერთი საათით გაგრძელდა, რადგან ამომრჩეველთა ნაწილმა საარჩევნო სიებში საკუთარი გვარი ვერ იპოვა. არჩევნებზე, დაახლოებით, 20 ათასი სამხედრო მოსამსახურე იცავდა უსაფრთხოებას.

ავტონომიის პრეზიდენტმა მასუდ ბარზანიმ არჩევნებს "ბალდადთან საკითხების მოგვარების საქმეში პირველი ნაბიჯი უწოდა". ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობა ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო თემაა. კამათი მიმდინარეობს მინების, ნავთობისა და ელექტროენერჯის გაყოფაზე.

გუმინ დღის მეორე ნახევარში მოძრაობა "ცვლილებების" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ მოიპოვეს უმრავლესობა სიდიდით მეორე ქალაქ სულეიმანიში. თუმცა მმართველი კოალიციაც დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში მთელ ქურთისტანში. თუ მმართველი კოალიცია ხელისუფლებაში დარჩება, წინასწარი შიდა მოლაპარაკების თანახმად, ავტონომიური რეგიონის პრემიერ-მინისტრის პოსტი ნაჩრევან ბარზანისგან (ის პრეზიდენტ ბარზანის ძმისშვილია) ქურთისტანის პატრიოტული კავშირის წარმომადგენლის ხელში გადავა. ამ თანამდებობას, საგარაუდოდ, ერაყის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბარზან სალუბი დაიკავებს.

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება

Tucson



17 550

Santa Fe



24 500

Sonata



19 400

HYUNDAI i30



15 200

Drive your way



www.hyundai.ge

51 77 99

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დავით ტატიშვილის

სამედიცინო ცენტრი აცხადებს

კონკურსს რადიოლოგის

შემდეგ ვაკანსიაზე:

რენტგენოლოგი - 1,
რენტგენომამოგრაფიის სპეციალისტი - 1.

მოთხოვნები:

1. სახელმწიფო სერთიფიკატი შესაბამის სამედიცინო საქმიანობაში;
2. პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამუშაო სტაჟი 5 წ.
3. უცხო ენების ცოდნა (ინგლისური);
4. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

საკონკურსო განაცხადის შემოტანის ვადა 2009 წლის 1 სექტემბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ. N 20
ტელ: 913 119, 913 242

სიასლეთი! დასვენება 50 ლარად!

გაზაღების სასტუმრო კომპლექსში
საუკეთესო ფასად, ღამისთევის გარეშე,
მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ
დაისვენოთ, გაერთოთ და მიიღოთ შედეგი
სახის მოხსნაშურება:

- ერთჯერადი კვება (მსუბუქი ლანჩი)
- პლაჟი (ქოლგა, შეზლონგი)
- ღია აუზი (ქოლგა, შეზლონგი)
- წყლის ველოსიპედები, იალქნიანი და გასაბერი ნავეები
- სპორტული მოედნები (პლაჟის ფრენბურთი, ჩოგბურთის კორტი)
- საბავშვო ატრაქციონები
- უფასო ავტოსადგომი
- 6 წლამდე ბავშვებისთვის უფასოდ
- ბავშვები 6-დან 12 წლამდე 50% ფასდაკლებით.

ეს ყველაფერი მხოლოდ 50 ლარად!

ღამათაბითი ინფორმაციისთვის ღარაკით: 44 99 77 (შიდა: 30-01 ან 30-02)



იან გილანის ცოლის ცრემლები

Deep Purple-ს სოლისტმა საქართველოში მეორედ სტუმრობის სურვილი გამოთქვა

იან ვაჰა

ერთ-ერთი ქართული ფორუმის მუსიკის განყოფილებაში ასეთი თემა გახსნილი: "რომელი ჯგუფის კონცერტზე ინტერედით დასწრებას?" კითხვა ერთი, პასუხი კი იმდენი, რამდენი მომხმარებელი ანუ რამდენი გემოვნებაა. ნატურის ასრულება ამ თემის მხოლოდ ნაწილმა შეძლო, როდესაც სტამბულში დაგეგმილი Deep Purple-ს კონცერტზე გაემგზავრა. ეს მელომანური მსვლელობა იმიტომ უფრო გახდა მნიშვნელოვანი, რომ სცენაზე გამოსული იან გილანი ერთნაირად ესალმებოდა სტამბულსაც და საქართველოსაც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წელიწადში ორჯერ უმაღლესი კლასის ჯაზ ფესტივალი ტარდება (თბილისის და ბათუმის), ის მაინც კონკრეტული გემოვნების მქონე მსმენელის ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება. მუსიკის ცოცხლად მოსმენით სიამოვნების მიღებას ახერხებენ კლასიკური მუსიკის მოყვარულებიც, რადგან მსოფლიო საოპერო თუ საბალეტო სცენის ვარსკვლავები, მათ შორის ქართველებიც, ხშირად მართავენ კონცერტებს. სხვა მუსიკალური მინდინარეობის, ამ შემთხვევაში როკის მოყვარულები კი ყველაზე მეტად "ინაგრებიან", რადგან უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისში ერთ ცნობილ როკ-ჯგუფსაც არ ჩამოუდგამს ფეხი, ხოლო მას შემდეგ, რაც აქ "სმოუკის", ბილი ჯოელს ან იგივე იან გილანს ვუსმინეთ, მსოფლიო სცენას უამრავი დიდი ჯგუფი შეემატა.

რაც შეეხება გილანს, იგი თბილისში შორეულ 1990 წელს სოლო პროექტით იმყოფებოდა. ჩაატარა რამდენიმე კონცერტი და რაც მთავარია ჯვარიც აქ დაინერა. წყვილს ქართული ეროვნული სამოსი ეცვა და ქორნილიც ტრადიციული ქართული ნესებით ჩატარდა. ამ ქორნილის შესახებ ოდნავ ქვემოთ კვლავ შეგახსენებთ, მანამდე კი იან გილანისა და ქართველების მეორე



იან გილანი



თვალცრემლიანი ბრონი

შეხვედრის შესახებ გაიმბობთ.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, როდესაც Deep Purples თავგადაკლულმა ფანმა, გიორგი კიკონიშ-

ვილმა ჯგუფის ოფიციალურ საიტზე რამდენიმე თვეში სტამბულში დაგეგმილი კონცერტის შესახებ ამოიკითხა... აქვე აღვნიშნავთ, რომ

თურქეთი მსგავს შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია. საქართველოს რამდენიმე მეზობელი ჰყავს (ისეთი სადაც მშვიდად ჩავსვს): სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი. ერევანში ერთხელ System of a Down ჩავიდა და იმის მერე სომხები სულ ამ შემთხვევას იხსენებენ (თუმცა წელს მაინც ჰქონდათ გამოჩინება და თვით Jethro Tull-ს უმასპინძლეს). აზერბაიჯანში კი თავიანთი ვარსკვლავებიც ჰყავთ, მაგალითად აზიზა მუსტაფა ზადე ან სულაც მანანა ჯაფარიძე და მეტს არც ითხოვენ. ჩვენ კი ვითხოვთ და ამიტომაცაა თურქეთი ამ შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

ერთი სიტყვით, როგორც კი დრო და ადგილი დაადგინა, გიორგიმ სტამბოლში წასვლისთვის დაიწყო მზადება: "თავიდან მეგობრების ვინჩო წრესთან ერთად ვაპირებდნენ წასვლას, შემდეგ კი მივხვდი, რომ ჯობდა, ამ მსვლელობისთვის გაცილებით მასშტაბური სახე მიმეცა და ორგანიზებას შევუდექი. შესაბამისი თემები გავხსენი ყველა ფორუმზე, ჯგუფის ქართულ ბლოგზე, ქუჩაში განცხადებებიც კი გამოვავარი. საბოლოოდ 60 ფანამდე შევგროვდით და გავემგზავრეთ."

თუმცა გამგზავრებამდე ერთი, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მოხდა: გიორგიმ კონცერტამდე სამი თვით ადრე იან გილანს ელექტრონული წერილი მისწერა. გაიხსენა მუსიკოსის ოცი წლის წინანდელი სტუმრობა, კონცერტები, ქორნილი. ბოლოს კი ისიც ახსენა, რომ სტამბოლში 60 კაციანი ფანკლუბი ჩადიოდა და რომ ეს კონცერტი მათთვის დიდი ხნის ოცნება იყო. კონცერტამდე რამდენიმე კვირით ადრე კი პასუხიც მოვიდა - Deep Purple-ს ტურ მენეჯერი გიორგის ატყობინებდა, რომ იან გილანს თავის ქართულ ფანებთან შეხვედრა სურდა. "წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა - ეს უდიდესი მუსიკოსი ჩვენთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამდა. ამ შეხვედრისთვის კი სათანადოდ უნდა მოვმზადებუ-

ლიყავით", - იხსენებს გიორგი კიკონიშვილი.

...ვიდრე იან გილანი ქართველ ფანებთან საუბრობდა და ავტოგრაფებს არიგებდა, ოდნავ მოშორებით მისი მეუღლე, ბრონი ტიროდა. ტირილის მიზეზი კი ის ემოცია იყო, რომელიც ამ ქალბატონს 20 წლის წინანდელი ქორნილის ამსახველი ფოტოების პირველად ნახვამ აღუძრა. "მაშინ თბილისიდან ისე წამოვედი, ფოტოების დაბეჭდვა ვერ მოასწრეს. ვერც შემდგომში გამოგვიგზავნეს. აღარც მეგონა, რომ ამ ღამეში დღის ამსახველ კადრებს ოდესმე კიდევ შევაგვლდი თვალს", - ასე უზიარებდა სიხარულს ქართველებს აცრემლებული მისი გილანი.

მერე კონცერტი დაიწყო. ათასობით მსმენელის ყიფინით გაბრუნებულ სცენაზე გამოსულმა იან გილანმა ტრიბუნებს თვალი მოავლო და შესძახა: Hello Istanbul! Hello Georgia! "გავიყვით! ისე მოგვესალმა, რომ თვითოეულმა ჩვენგანმა მისი სიტყვები პირად მისალმებად მივიღეთ. 20 ათასამდე მსმენელში ყველაზე ამაყები და ბედნიერები ვიყავით, ხოლო როდესაც მეოთხე სიმღერის დასრულების შემდეგ იკითხა Where is Georgia? და ჩვენს ყიფინას ხელის დაქნევითა და ლიმილით გამოეპასუხა, ვიფიქრეთ, რომ მომდევნო სიმღერა სწორედ ჩვენ მოგვიდგნა", - იხსენებს გიორგი.

და ბოლოს, კითხვაზე რას ფიქრობს თბილისში გასტროლებზე, იან გილანი არც დაფიქრებულა, მაშინვე გამოთქვა ამის დიდი სურვილი, ჯგუფის ტურ მენეჯერმა კი ეს წინადადება გაცილებით საქმიანად მიიღო. ასე რომ სულაც არაა გამოორიცხული, მსოფლიო როკ მუსიკის ლეგენდა - Deep Purple მალე თბილისის სცენაზეც ვიხილოთ...

იმართლებს თუ არა თავს ვიკიპედია?

იურიდიული კომპანია, რომელიც ლონდონის ნაციონალური პორტრეტების გალერეის ინტერესებს წარმოადგენს, ვიკიპედიის - თავისუფალი ელექტრონული ენციკლოპედიის - მომხმარებელს სასამართლოთი დემუქრა. ამის მიზეზი გახდა 3 300 ფოტო, რომელიც მომხმარებელმა Wikimedia Commons-ში ჩატვირთა. ფოტოებზე ასახული ნამუშევრები სწორედ ლონდონის გალერეის კოლექციის ნაწილია. ამის შესახებ ინფორმაცია საიტდან, სახელწოდებით Slashdot გავრცელდა.

მომხმარებელს, რომელიც აშშ-ში ცხოვრობდა, Farrer & Co LLP -ის ბიუროს წარმომადგენლებმა წინადადებით მიმართეს და ნაციონალური პორტრეტების გალერეაში დაცული ნამუშევრების ფოტორეპროდუქციებთან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების ვადად 2009 წლის 20 ივლისი დაუთქვეს. სასამართლო პროცესის თავიდან ასაცილებლად, მომხმარებელმა ეს ფოტოები უნდა წაშალს ვიკიპედიიდან, ასევე, ნებისმიერი სხვა საიტებიდან და საკუთარი კომპიუტერიდანაც კი.

Farrer & Co LLP -ის წერილში ნათქვამია, რომ მუშუემის წარმო-



მადგენლები ჯერ კიდევ 2009 წლის აპრილში ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ ვიკიპედიის ფონდის (Wikimedia Foundation) წარმომადგენლებს, რომლებიც კოორდინირებას უწევენ და მხარს უჭერენ ვიკიპედიის პროექტთან დაკავშირებულ ნამუშევრებს. თუმცა, ამ ფონდმა ნაციონალური პორტრეტების გალერეის მოსაზრება არ მიიღო, არ გაითვალისწინა და ფოტორეპროდუქციების წაშლაზეც უარი განაცხადა. სწორედ ამის შემდეგ და-

იწყო მოლაპარაკებები მომხმარებელთან, რომელმაც ფოტოები ჩატვირთა.

Farrer & Co LLP -ის არგუმენტაცია აგებულია იმაზე, რომ ფოტოები გამოსახულებებია, რომლებიც ბრიტანეთის კანონმდებლობის გათვალისწინებით საავტორო უფლებების დაცვას (Copyright, Designs and Patents Act 1988) მოითხოვს. Farrer & Co LLP -ის იურისტები მზად არიან დაამტკიცონ, რომ ამ გალერეაში დაცული

თითოეული პორტრეტის ფოტორეპროდუქცია ფოტოგრაფის შრომის შედეგია, ასეთი შრომა კი დაცულია საავტორო უფლებებით.

ვიკიპედია ეს არის მრავალენოვანი პროექტი, რომლის მიზანსაც სრულყოფილი ენციკლოპედიის შექმნა წარმოადგენს. ვიკიპედიაში ინფორმაციის მოძიება მსურველებს უფასოდ შეუძლიათ. აღნიშნული ენციკლოპედიის მასალით მომარაგების უფლება მომხმარებელსაც აქვს. თუმცა, არსებობს გარკვეული ნესები, მაგალითად საიტზე მასალის განთავსების, რომელიც ითვალისწინებს, რომ იქ არ შეიძლება ისეთი ინფორმაციისა თუ გამოსახულების დადება, რომელიც დაცულია საავტორო უფლებებით, სტატიები უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური და ა.შ. მომხმარებლების მიერ მინოდებულ მასალას უკეთდება რედაქტირება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ის მკითხველისთვის ხელმისაწვდომი.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ვიკიპედია ერთადერთი არ არის, რომელსაც საქმე შესაძლებელია სასამართლოსთან ჰქონდეს. როგორც ცნობილია, Google-მა გერმანიაში საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული ორი სასა-

მართლო დავა წააგო. ამის შესახებ ინფორმაცია Bloomberg-მა გაავრცელა. ფოტოგრაფი მიქაელ ბერნჰარდი და რამდენიმე კომიქსზე საავტორო უფლების მქონე ტომას პორნი აცხადებდნენ, რომ მაძიებელს მათი მასალის დაუკითხავად ჩვენების უფლება არ აქვსო.


მათდამი წაყენებული ბრალდების გასაბათილებლად, Google-ის წარმომადგენლები მიუთითებდნენ იმაზე, რომ მაძიებელი სისტემა გამოსახულებათა შემცირებულ ასლს უჩვენებდა. საბოლოოდ, Google-ის თავის გასამართლებელმა ფაქტორმაც მის წინააღმდეგ იმუშავა და სასამართლომ ავტორთა საჩივარი დააკმაყოფილა. არსებული ნესების თანახმად, მასალების გამოყენებამდე Google-ი მათზე კანონიერი უფლების მქონე პირებს უნდა მოელაპარაკოს. დღეისათვის იქ 80 მილიონზე მეტი გამოსახულებაა ჩატვირთული.

Google-ს სასამართლო პროცესი გერმანიაში პირველად არ წაუგია. 2008 წელს მას მოუწია უარი ეთქვა Gmail-ის სავაჭრო ნიშანზე აქ ქვეყანაში. მისი მფლობელია გერმანელი დანიელ გირში (Daniel Giersch), რომელიც Google-ს სამი წელი ედავებოდა.

როჭარ ფედერარის ტყუპიზოზა ფსონებს იღებენ

ტოტალიზატორზე თამაშის მოყვარულებს რა გამოლევს. ფსონის დადება ზოგიერთისთვის ცხოვრების წესიც კია. ამით ტოტალიზატორები სარგებლობენ და მოთამაშეებს ათასგვარ საინტერესო, ხანდახან კი მეტად უცნაურ ფსონს სთავაზობენ.

რაზე აღარ დებენ ფსონს. სანამ ძირთად თემაზე გადავიდოდეთ, ერთ ამბავს შეგახსენებთ. თავის დროზე ერთ-ერთ ტოტალიზატორში ძალზე ორიგინალური ფსონი დაიდო. საქმე ეხება 1998 წლის მუნდიალს. ალბათ გახსოვთ არგენტინა-ინგლისის დაუფინყარი მატჩი. მაიკლ ოუენის გოლი-შედეგრი, დიეგო სიმონენს პროვოკაცია და დევიდ ბექჰემის მინდერიდან გაძევება. მაშინ ბექჰემი ახლად გამომცხვარი მამა იყო - მისი უფროსი ვაჟი ბრუკლინი რამდენიმე თვის გახლდათ და მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე ერთ-ერთმა ტოტალიზატორმა ასეთი ფსონი მოიფიქრა. ბრუკლინი გაიზრდება და გახდება ფეხბურთელი, ითამაშებს ინგლისის ნაკრებში, მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრები შეხვდება არგენტინის ეროვნულ გუნდს და ბრუკლინს მოედინდან გააძევებენ. წარმოიდგინეთ, მოიძებნა ადამიანი, რომელმაც ამ ფსონზე მოზრდილი თანხა შეიტანა.



როჭერი და მირკა

ახლა კი ფსონს როჯერ ფედერერის ტყუპ გოგონებზე იღებენ.

ს უ პ ე რ ჩ ო გ ბ უ რ თ ე ლ ი ს ახალშობილები ჯერ სულ სამი დღის არიან და ბრიტანულმა ტოტალიზატორმა Ladbrokes-მა მათ მიერ უიმბლდონისა თუ

დიდი მუზარადის სხვა ტურნირების მოგებაზე ფსონების მიღება დაიწყო.

როჯერ ფედერერის მეუღლემ - მირკამ, რომელიც როლანდ გაროსსა და უიმბლდონზე ქმარს ტრიბუნებიდან გულშემატიკვრობდა, პარასკევ ღა-

მით იმშობიარა და ტყუპი გოგონები გააჩინა - შარლინ რივა და მილა როუზი.

ტოტალიზატორი ერთ-ერთი მათგანის მიერ უიმბლდონის მოგებაზე თავის კლიენტებს 100-1 კოეფიციენტით ფსონის დადებას სთავაზობს.

იმაზე, რომ დებიდან ერთ-ერთი 25 წლამდე დიდი მუზარადის რომელიმე ტურნირს მოიგებს, კოეფიციენტი 25-1-ა, იმაზე, რომ ისინი ამ სერიის რომელიმე შეჯიბრებაზე წყვილად გაიმარჯვებენ - 50-1, ხოლო მათ მიერ უიმბლდონის წყვილად მოგებაზე Ladbrokes-ი ფსონებს 200-1 კოეფიციენტით იღებს.

გოგონებს დიდებული საჩოგბურთო გუნები აქვთ. იმის ნახევარიც რომ ითამაშონ, რასაც მათი მამა თამაშობს, მაინც ანგარიშგასანევი ძალა იქნებიან, - განაცხადა ტოტალიზატორის წარმომადგენელმა ნიკ უაინბერგმა.

როგორც ჩანს, დების ჩოგბურთელობის სჯერა ენდი როდიკსაც, რომელმაც როჯერს და მირკას ასეთი მილოცვა გაუგზავნა:

ვულოცავ ახლად გამომცხვარ მშობლებს! 2029-40 წლებში უიმბლდონზე ქალთა შორის ჩემპიონები დები ფედერები იქნებიან!

ქართული ლეგიონი მზადებას განაგრძობს

მომავალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებენ ის ევროპული კლუბები, რომლებშიც ქართველი ფეხბურთელები ირიცხებიან.

ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას შალკე მეორეუნდესლიგელ უნიონ ბერლინთან სტუმრობისას დამარცხდა. გელზენკირხენელთა სასტარტო შემადგენლობაში არც ერთი ქართველი არ იყო, ლევან კობიაშვილი კი მოედანზე შევიდა მეორე ტაიმის დასაწყისში, როდესაც მისი გუნდი 0:1 მარცხდებოდა. მეორეუნდესლიგელებმა გაიმარჯვეს მიუნხენში გამართულ მატჩშიც, მაგრამ ამჯერად ქართველი ფეხბურთელი გამარჯვებულთა მხარეს ასპარეზობდა. მათე ლვინიანის მიუნხენ 1860 -მა ესპანურ მალიორკას 1:0 სძლია. ქართველი ფეხბურთელი მიუნხენელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და მატჩი ბოლომდე ითამაშა.

ფრეს დასჯერდა ზურაბ ხიზანიშვილის ბლექბერნი, რომელიც სტუმრად ლიდს იუნაიტედს ეთამაშებოდა და მატჩის მინურულს მეორე ტაიმის დასაწყისში გაშვებული გოლის გაქვითვის წყალობით 1:1 ითამაშა. ზურაბ ხიზანიშვილი მოედანზე 72-ე წუთზე გამოჩნდა, როდესაც მისი გუნდი მარცხდებოდა.

"მუსიკოსები" იტალიელი ნახევარმცველით დაინტერესდნენ

უახლოეს დღეებში ბრემენის ვერდერმა შესაძლოა ფიორენტინას 30 წლის ნახევარმცველი დარიო დანიელი შეიძინოს.

მუსიკოსთა მენეჯერი კლაუს ალოფსი მოთამაშის აგენტთან უკვე მოლაპარაკებას აწარმოებს. ვერდერის გარდა, მისი გადაბირება რომის ლაციოსა და გენუის სამბდორიასაც სურთ.

ტანამაღალ ნახევარმცველს (დანიელის სიმაღლე 191 სანტიმეტრია) ერთხელ იტალიის ნაკრებშიც აქვს ნათამაშები.

ვიეირას ლონდონში ელიან

უახლოეს მომავალში ინტერის ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა შესაძლოა ლონდონში დაბრუნდეს, თუმცა, მშობლიური არსენალის ნაცვლად, ტოტენჰემში გააგრძელოს კარიერა. პატრიკს ჩვენთან თამაში სურს და ეს მასზე, როგორც ადამიანზე, ბევრს ლაპარაკობს. ის მზადაა ხელფასიც შეიმციროს, ოღონდ სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს. ვიეირას შეძენით მეც დაინტერესებული ვარ. ვერ გეტყვით, მოლაპარაკება რა სტადიაშია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მას ტოტენჰემში ყოფნა სურს. არადა, სამჯერ ნაკლები ანაზღაურება ექნება, ვიდრე ინტერში, - ამბობს ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი.

